

# საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №673

1997 წლის 17 ნოემბერი

ქ. თბილისი

## საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, ქვეყნის უშიშროების, საერთაშორისო ავტორიტეტისა და სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცების, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების მიზნით:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავებული საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის თანდართული კონცეფცია.

2. საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია საფუძვლად დაედოს საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სისტემის შექმნას, ამ სფეროში სათანადო საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებისა და პროგრამების მომზადებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების განსაზღვრას და მათი საქმიანობის კოორდინაციას.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისას, საერთაშორისო შეთანხმებათა მომზადებისას გათვალისწინებულ იქნეს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის დებულებები.

4. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ვ. ვაშაკიძე) საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფო კომისიასთან და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით უზრუნველყოს, რომ მიგრაციის სფეროში ადრე მიღებული საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდეს საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციას.

ე. შევარდნაძე

## საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია\*

### შესავალი

საქართველოში ყალიბდება სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფო.

განვლილ ხანმოკლე პერიოდში შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, ახალ პოლიტიკურ წყობაზე და ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია ემიგრაციული და შიდა მიგრაციული პროცესების გააქტიურება.

უკანასკნელ წლებში მიღწეული სტაბილიზაცია, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის აღდგენა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უახლოესი პერსპექტივა უცილობლად განაპირობებს იმიგრაციული ნაკადების ზრდას.

შექმნილ ვითარებაში მიგრაციული ნაკადების მასშტაბურობა, მიგრანტთა კატეგორიების მრავალფეროვნება მოითხოვს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარებისადმი ახლებურ მიდგომას და ამ პროცესის სახელმწიფოებრივ მართვას.

ამრიგად, დღის წესრიგში დადგა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესატყვისი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და, მის საფუძველზე, მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება.

წინამდებარე კონცეფცია, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით, არის საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის საფუძველი.

### I მიგრაციის პოლიტიკის პრინციპები

მიგრაციის პოლიტიკის პრინციპებია:

- მიგრანტის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დაცვა რასის, რელიგიის, ეროვნების, მოქალაქეობის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური მრწამსის, ენის, სქესისა და ასაკის მიუხედავად;
- მიგრაციული პროცესების მართვისა და კონტროლის გზით საქართველოს განსახლების ინფრასტრუქტურის, დემოგრაფიული განვითარებისა და შრომის ბაზრის ინტერესების დაცვა;
- მიგრაციული პროცესების რეგულირებით ქვეყნის სამინაო და საგარეო ინტერესების დაცვა;

\* კონცეფცია, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის N673 ბრძანებულებით მოწონებულ იქნა (აღნიშნულზე იხ. ტექსტში)

მის დამუშავებაში მონაწილეობდა როგორც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ისე სხვა სახელმწიფო უწყებათა თუ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მეცნიერთაგან შემდგარი თითქმის 20 კაციანი ჯგუფი. მათ შორის ისეთი ცნობილი მეცნიერები როგორცაა აკადემიკოსი

ვ. ჯაოშვილი, ლ. ჩიქავა.

კონცეფციის, საბოლოოდ მოწონებული ფორმა არის ვ. ეაშაკიძის, ო. ყვინაშვილის და თ. გუგუშვილის ურთიერთშეთანხმების შედეგი.

- იმიგრაციული კვოტის განსაზღვრისას უპირატესობის მინიჭება მიგრანტთათვის, რომელთა იმიგრაციაც მიესადაგება ქვეყნის დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებს;
- ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა იძულებითი დაბრუნების დაუშვებლობა იმ ქვეყნებში, საიდანაც ისინი ჩამოვიდნენ, თუ ეს საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.

## II მიგრაციის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები

მიგრაციის პოლიტიკის მიზნები და ამოცანებია:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა-ჩამოყალიბება და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მიგრანტთა სამართლებრივი და სოციალური უფლებების დაცვას საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე;
- მიგრაციული პროცესების მართვის თანამედროვე სახელმწიფო სისტემის შექმნა და სათანადო კადრების მომზადება;
- დემოგრაფიული განვითარების უზრუნველყოფა მიგრაციული ნაკადების რეგულირების გზით, ქვეყნისა და მისი რეგიონების განსახლების ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით;
- მიგრაციული პროცესების პროგნოზირება, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელებისათვის მზადყოფნა;
- იმიგრაციული კვოტის დადგენა და მისი კონტროლი;
- მიგრაციის სფეროში არსებულ საერთაშორისო დოკუმენტებთან საქართველოს შეერთების მიზანშეწონილობის განსაზღვრა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
- სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მიგრაციული პროცესების მართვა, განსაკუთრებით, უკანონო მიგრაციის აღკვეთა;
- მიგრაციის მართვის ერთიან სახელმწიფო სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეული უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია;
- მიგრაციული პროცესების რეგულირებისათვის სახელმწიფო და რეგიონალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მიგრაციის სფეროში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამათა კოორდინაცია;

- მიგრაციული პროცესების მართვისას ტურიზმისა და ტრანზიტული მიგრაციის განვითარებისათვის განსაკუთრებული ხელშეწყობა;
- შრომითი მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფო სისტემის შექმნა და მისი ფუნქციონირების მექანიზმის განსაზღვრა;
- მიგრაციული კონტროლის თანამედროვე სისტემისა და მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- მიგრაციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება;
- საქართველოს მოქალაქეთა ქვეყნის გარეთ შრომითი მოწყობის ორგანიზება და ხელშეწყობა;
- დროებით მიგრანტთა უკუმიგრაციის ხელშეწყობის პირობების შექმნა მათი დასაქმებისა და რეინტეგრაციის სათანადო პროგრამების საფუძველზე;
- დევნილი მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი, ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა;
- მიგრანტთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში დასაქმების, განათლების, კულტურისა და სოციალური სტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- ეკოლოგიურ მიგრანტთა განსახლების, ადაპტაციისა და ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა;
- მიგრანტთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში მათი უფლებების დაცვის გარანტიების შექმნა;
- ემიგრანტებთან, დროებით მიგრანტებთან, ქართულ სათვისტომოებთან, დიასპორებთან და სხვა გაერთიანებებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება და მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა;
- ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის განსაზღვრა და მათი უფლებების რეალიზება;
- იმიგრანტთათვის და რეპატრიანტთათვის ადაპტაცია-ინტეგრაციის პირობების შექმნა;
- მიგრანტთა კატეგორიებისათვის სტატუსის განსაზღვრა, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლებისა და ადაპტაციის პირობების შექმნა;
- მიგრაციის სფეროში საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების შესახებ ინფორმაციის მომზადება და საზღვარგარეთ გავრცელება.

### III მიგრაციის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები

#### შიდა მიგრაცია

- ა) იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი
- “იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონის დაცვა და დევნილთა მიმართ საზოგადოებრივი თანადგომის

ხელშეწყობა;

- დევნილთა ღირსეული და ეტაპობრივი დაბრუნება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში;
- დევნილთა დაბრუნების, რეაბილიტაციისა და რეადაპტაციის კონკრეტული პროგრამების შემუშავება, შესაბამისად კონტიგენტის მომზადება და ქვეყნის საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მობილიზება;
- ზემოაღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის საერთაშორისო საზოგადოებრიობის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ბ) ეკოლოგიური მიგრაცია

- სტიქიური მოვლენების შედეგად მასობრივად დაზარალებული აჭარის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით რეაბილიტაციისა და ადაპტაციის კონკრეტული პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია;
- ეკოლოგიურ მიგრანტთა შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
- მიგრანტთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში სამართლებრივი და სოციალური დაცვის მიზნით მმართველობით ორგანოებში მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- ეკოლოგიურად საშიში ზონებიდან მოსახლეობის მიგრაციის პროგნოზირება, ქვეყნისა და რეგიონების ინტერესებიდან გამომდინარე მათი განსახლებისათვის სარეზერვო მიწის ფონდის შექმნა;
- მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების ზონებში დასახლებული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

გ) სოციალურ-ეკონომიკური მიგრაცია

- მიგრაციის და განსახლების პოლიტიკიდან გამომდინარე შესაბამისი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია;
- საქართველოს რეგიონებში მეურნეობისა და განსახლების სისტემის ტრადიციული ფორმების შენარჩუნება-განვითარებით პატარა ქალაქებსა და დაბებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ინიციატივის სახელმწიფო მხარდაჭერით მიგრაციული პროცესების რეგულირება;
- დემოგრაფიულად გაჯერებული რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის პროგნოზირება, ქვეყნისა და რეგიონების ინტერესებიდან გამომდინარე მათი განსახლებისათვის სარეზერვო მიწის ფონდის შექმნა;
- ქვეყნის ტრანზიტული არტერიების განსაზღვრა, შესაბამისი ურბანიზაციის პროგრამების შემუშავება და მიგრაციული პროცესების პროგნოზირება-რეგულირება;
- ტრანზიტული და ტურისტული ნაკადების მიღების ხელშეწყობის მიზნით საკომუნიკაციო ქსელისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

## გარე მიგრაცია

### ა) ემიგრაცია

- აუზაზუთიდან და ცხინვალის რეგიონიდან საქართველოს გარეთ ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა და დროებით მიგრანტთა უკუმიგრაციის ხელშეწყობა და ამ პროცესში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახურისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა;
- დროებით მიგრანტთა სოციალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით რეციაიენტ ქვეყნებთან სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებების დადება;
- შრომითი მიგრაციის მოწესრიგების მიზნით საკანონმდებლო ბაზის შექმნა და შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთება; დროებით მიგრანტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მიგრაციის ატაშეს ინსტიტუტის შემოღება;
- დროებით მიგრანტთა უკუმიგრაციის პროგრამების შექმნა და რეალიზაცია;
- საქართველოს აღმშენებლობის პროცესში ემიგრანტების, ქართული სათვისტომოებისა და დიასპორების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

### ბ) იმიგრაცია

- იმიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა და საქართველოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იმიგრაციის შესახებ კანონის შექმნა;
- იმიგრაციული პროცესების აღრიცხვის, რეგულირებისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა;
- უკანონო მიგრაციის აღკვეთი ღონისძიებების განხორციელება, ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სახელმწიფოთაშორისი და უწყებათაშორისი ხელშეკრულებების გაფორმება;
- იმიგრაციული კვოტის განსაზღვრის წესების შემუშავება და ყოველწლიური კვოტის დაცვის კონტროლი;
- საქართველოს პოლიტიკური, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით დეპორტირებული და რეპატრიირებული მესხების პრობლემათა ეტაპობრივი გადაჭრა, მათი ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა;
- საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს ინტერესების შესაბამისი ლტოლვილთა შესახებ კანონის მიღება;
- იმიგრაციული კონტროლის პროცედურის გამარტივება ტრანზიტული და ტურისტული ნაკადებისათვის და იმ პირთათვის, რომელთა საქართველოში საქმიანობაც განსაკუთრებულად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას;
- ქვეყნის შრომითი ბაზრის დაცვის მიზნით საკანონმდებლო ბაზის შექმნა და შრომითი მიგრაციის რეგულირება;
- მიგრაციული პროცესების მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა და შესაბამისი კადრების მომზადება.

\*\*\*

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეროვნული უშიშროების დაცვას, ქართველი და აფხაზი ერების, საქართველოს მოქალაქეთა თვითმყოფადობის შენარჩუნებას, დემოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.